ტრანსფორმაციული გამოცდილება და გენერაციულობა: ერთი შემთხვევის ანალიზი

ანა შავგულიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოლოგია: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. “

ანა შავგულიძე 22.06.2018

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს დელიქვენტური ქცევის გამოცდილების მქონე ადამიანის ცხოვრების ისტორიის სიღრმისეულად შესწავლა მონოგრაფიული მიდგომით, იმ მოვლენებზე დასაკვირვებლად, რომლებიც შეადგენენ მსჯავრდებულის ცხოვრების ისტორიას, რა გზა შეიძლება განვლოს ადამიანმა პატიმრობაში მოხვედრამდე, პატიმრობაში მოხვედრის მანძილზე, ნაწილობრივ სასჯელის მოხდის შემდგომ და რა ფსიქოლოგიურ პროცესებს შეიძლება დავაკვირდეთ ამ პროცესის თვალის მიდევნებით.

კვლევის პროცესში განხორციელდა სიღრმისეული ინტერვიუები 4 თვის მანძილზე, ჯამში დაახლოებით 20 საათის განმავლობაში, გაანალიზებული იქნა რესპონდენტის დღიური, რომლის წარმოებაც მან კვლევის ფარგლებში დაიწყო, ინტერვიუ ჩაიწერა მთხრობელთან დაახლოებულ პირთან, მთელი პერიოდის განმავლობაში წარმოებდა ქცევაზე დაკვირვება და ვადგენდი თვითანგარიშის დღიურს.

თემატური ანალიზის ფოკუსი ბავშვობის, მოზარდობის, ომის პერიოდზე, სასჯელაღსრულების სისტემაში პირველად და შემდეგ უკვე უკანასკნელად მოხვედრაზე, სასჯელის მოხდის პერიოდში მიმდინარე ფსიქიკურ პროცესებსა და ტრანსფორმაციულ გამოცდილებაზე შეჩერდა.

შევეცადეთ მთლიანობითი ანალიზი გაგვეკეთებინა ერთი ადამიანის საკმაოდ რთული ცხოვრებისეული ისტორიის.

საკვანძო სიტყვები: ცხოვრების ისტორია, შემთხვევის ანალიზი, სასჯელის მოხდა, ტრანსფორმაციული გამოცდილება, გენერაციულობა.

Abstract

This research studies live experience of a person, who carried out deliquent behaviour, and observes his life events using monografic method. The life experience includes experiences before coming to prison, being in prison etc. In addition to this this study aims to observe the psychologycal processes the prisoner goes through.

For the research the process of interviewing continued for 4 months and the total duration of interviews was 20 hours. Additionally, The participant began to write diary for the survey and the diary was analyzed afterwards. Simultaniously, friend of the participant was interviewed, his behaviour observed and we produced self-report diary. Thematic account is focused on childhood, adolescent, war experiences, as well as on compliting the sentence for the first time and for the last time. Also, the focus of thematic account is to analize the psychological processes of these events and of transformation/convertion. We analyzed carefully the whole complex life experience of one individual.

Key Words: life story, case study, service of sentence, experience of convertion, gereneration.

მადლობა

პირველ რიგში, უდიდესი მადლობა ჩემს რესპონდენტს, რომელმაც მანდო და გულახდილად გამიზიარა ადამიანისათვის ყველაზე ინტიმური, საკუთარი ცხოვრების ისტორია, სურვილები, ემოციები, რაც ჩემთვის დიდი პატივი გახლდათ.

არანაკლები მადლობა ჩემს მეგობარსა და კოლეგას, ნინო გოგილაშვილს, რომლის მახვილი გონება მუდამ მზად იყო გონივრული რჩევის მოცემისათვის.

ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს თანაკურსელებს, რომლებიც მეხმარებოდნენ და მამხნევებდნენ განსაკუთრებით რთულ პერიოდებში. გამორჩეული მადლობა ნინა ზედგინიძეს, რომლის გვერდში დგომის გარეშე, კვლევა დასასრულს ვერ მიუახლოვდებოდა.

დიდი მადლობა ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ ქეთევან მაყაშვილს, მხარდაჭერისა და მიმართულებების მიცემისათვის.